



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492202811

თარიღი:28/01/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 13**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის #205 განკარგულების მე-2 მუხლით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2022 წელს განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა“ (თან ერთვის).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

